აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება
სამართლებრივი აქტის პროექტის
განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

ოქმი 16 | 20 ივნისი 2017 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე
(09-01-08/45, 15.06.2017)

გამარტივებული წესით განხილვა

დასახელება

ავტორი	ინიციატორი
უმაღლესი საბჭოს წევრები *დავით გაბაიძე, ნინო ჩხეტია*	*უმაღლესი საბჭოს წევრები* *დავით გაბაიძე, ნინო ჩხეტია*

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია

წამყვანი კომისია

შემოსვლის თარიღი	საკომისიო მოსმენის ვადა	სხდომაზე განხილვის თარიღი
15.06.2017 წელი	წამყვანი კომისია: 21.06.2017 სხვა კომისიები: 21.06.2017	რიგგარეშე სესია

კომისია რომლის დასკვნა სავალდებულოა

უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:
უმაღლესი საბჭოს კომისიებსა და ფრაქციებში დაიწყოს სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე: **დავით გაბაიძე**

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ჩაქვი, ბ. მეგენეიშვილის ქ. №25

19/06/2017
N 1647

1647-09-02-11-3-201706191129

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის უფროსს ბატონ გიორგი ბერიძეს

დ ა ს კ ვ ნ ა

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტთან დაკავშირებით (რეგ.N09-01-08/45. 15.06.2017წ.)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი.

წარმოდგენილი კანონის პროექტი შეესაბამება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 79-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.

მაია ხაჯიშვილი

დეპარტამენტის უფროსი

იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტი

საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ჩაქვი, ბ. მეგენეიშვილის ქ. №25

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს
ბატონ **გიორგი ბერიძეს**

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 76-ე მუხლის პირველი პუნქტისა და მე-80 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტს – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 93^1 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, უმაღლესი საბჭოს ბიუროს მივმართავთ წინადადებით, რომ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი კანონპროექტის უმაღლეს საბჭოში განხილვა და მიღება მოხდეს გამარტივებული წესით – ერთი მოსმენით.

გთხოვთ, კანონპროექტს მისცეთ უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებული მსვლელობა.

დანართი: -4- ფურცელი

პატივისცემით,

დავით გაბაიძე

ნინო ჩხეტია

საქართველოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი
საარქივო კოდის პირობითი ნიშანი
09-01-08/95
15. 06 2017
5. ფურცელი

<u>**პროექტი**</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
კ ა ნ ო ნ ი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში (საკანონმდებლო მაცნე, N15, 17.09.2004) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1.მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება

1. უმაღლესი საბჭოს წევრი ვალდებულია „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით შეავსოს და საჯარო სამსახურის ბიუროში წარადგინოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია.“.

2. 22-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. უმაღლესი საბჭოს წევრის ხელფასი მოიცავს კანონით დადგენილ თანამდებობრივ სარგოს და უმაღლესი საბჭოს ბიუროს მიერ განსაზღვრულ სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელების თანხას. ხელფასის გაცემა იწყება უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ცნობის მომენტიდან და მთავრდება (ჩერდება) შესაბამისი მოწვევის უმაღლესი საბჭოს ან მისი, როგორც უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტისთანავე (შეჩერებისთანავე).“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივლისიდან.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე

ჩაქვი,
2017 წლის

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

კანონპროექტის მიღება ერთის მხრივ გამომდინარეობს იმ გარემოებიდან, რომ „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონისათვის 2017 წლის 1 ივლისიდან ხდება სათაურის ცვლილება.

მეორეს მხრივ კანონპროექტის მიღება გამომდინარეობს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 120-ე მუხლით დადგენილი ახალი რეგულაციით, რომლითაც დგინდება, რომ იმ პირთა თანამდებობრივი სარგოების ზედა და ქვედა ზღვრები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან 120-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით განსაზღვრულ პირთა კატეგორიას (ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები არ არიან აღნიშნული პუნქტების ჩამონათვალში) განისაზღვრება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტში საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ შესაბამისად, გარდამავალ პერიოდში (2017 წლის 1 ივლისიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე) შრომითი გასამრჯელოს დადგენის წესი განისაზღვრება ინიცირებული კანონპროექტის მე-2 მუხლით, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი დგინდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით. კანონმდებლობის აღნიშნული რეგულაციებიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ კანონით ხდება (მოხდება) უმაღლესი საბჭოს თანამდებობრივი სარგოს დადგენა, მიზანშეწონილია, როგორც გარდამავალ პერიოდში, ასევე 2018 წლის 1 იანვრიდან კანონით მოხდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 22-ე მუხლში აღნიშნული ტერმინის „ხელფასი“ ცვლილება ტერმინით „თანამდებობრივი სარგო“, ხოლო – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი“ შეიცვალოს – „კანონით“.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

კანონპროექტის მიზანია, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

ა.გ) კანონპროექტის არსი;

კანონპროექტის შესაბამისად „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-8 მუხლში საქართველოს კანონის სათაური იცვლება „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით.

პროექტით ასევე დგინდება (ზუსტდება), რომ უმაღლესი საბჭოს წევრის ხელფასი მოიცავს კანონით დადგენილ თანამდებობრივ სარგოს და უმაღლესი საბჭოს ბიუროს მიერ განსაზღვრულ სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელების თანხას.

ხელფასის გაცემა იწყება უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ცნობის მომენტიდან და მთავრდება (ჩერდება) შესაბამისი მოწვევის უმაღლესი საბჭოს ან მისი, როგორც უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტისთანავე (შეჩერებისთანავე).“.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

კანონპროექტი არ საჭიროებს დამატებით ხარჯებს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტი არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები;

კანონპროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომლებზედაც ვრცელდება აღნიშნული პროექტის მოქმედება.

გ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

გ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში;

ასეთი არ არსებობს.

გ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ;

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის ავტორი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები: დავით გაბაიძე და ნინო ჩხეტია.

ე) კანონპროექტის ინიციატორი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები: დავით გაბაიძე და ნინო ჩხეტია.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის იმ მუხლების მოქმედი სრული რედაქცია, რომლებშიც წარმოდგენილი კანონპროექტით შედის ცვლილება

მუხლი 8. ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება

უმაღლესი საბჭოს წევრი ვალდებულია «საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ» საქართველოს კანონით დადგენილი წესით შეავსოს და საჯარო სამსახურის ბიუროს წარუდგინოს ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია.

მუხლი 22. უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების განხორციელების მატერიალური უზრუნველყოფა (17.08.2005 154)

1. უმაღლესი საბჭოს წევრის ხელფასი განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით. ხელფასის გაცემა იწყება უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ცნობის მომენტიდან და მთავრდება შესაბამისი მოწვევის უმაღლესი საბჭოს ან მისი, როგორც უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტისთანავე.

2. უმაღლესი საბჭოს წევრს ეძლევა ფულადი კომპენსაცია სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით.

3. უმაღლესი საბჭოს წევრთა საბინაო უზრუნველყოფის საკითხებს არეგულირებს უმაღლესი საბჭოს ბიურო, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის შესაბამისად.

4. უმაღლესი საბჭოს წევრის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ და საინფორმაციო უზრუნველყოფას ახორციელებს უმაღლესი საბჭოს აპარატი, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით დადგენილი წესით.